შეთანხმება N 02-02

სსიპ საფინანსო-ანალიტიკურ სამსახურსა და შპს ,,მაგთიკომი" შორის 2016 წლის 20 იანვრის №02 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ (კონსოლიდირებული ტენდერი CON150000078)

ქ. თბილისი 1 მარტი 2017 წელი

ერთის მხრივ, **სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური** (შემდგომში - ,,**შემსყიდველი**''), წარმოდგენილი სამსახურის უფროსის მოადგილის **გიორგი ბაბაკიშვილის** სახით და მეორე მხრივ **შპს ,,მაგთიკომი"** (შემდგომში ,,**მიმწოდებელი**"), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის მოადგილის **გია კოშორიძის** სახით, „2017 წელს ფიჭური კავშირგაბმულობის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის უწყვეტობის მიზნით გასატარებელი ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ" 2017 წლის 27 თებერვლის საქართველოს მთავრობის N362 განკარგულების, და 2016 წლის 20 იანვარს სსიპ საფინანსო-ანალიტიკურ სამსახურსა და შპს ,,მაგთიკომი" შორის გაფორმებული №02 ხელშეკრულების მე-7 მუხლის 7.1 პუნქტისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, ხელს აწერენ წინამდებარე შეთანხმებას (შემდგომში - „**შეთანხმება**") და თანხმდებიან შემდეგზე

მუხლი 1. 2016 წლის 20 იანვრის №02 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

1. ხელშეკრულების მე–4 მუხლის 4.2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4.2 მომსახურების გაწევა განხორციელდება 2016 წლის 1 თებერვლიდან 2017 წლის 1 აპრილამდე.".

2. ხელშეკრულების მე–10 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„10. ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 1 მაისამდე.".

მუხლი 2. დასკვნითი დებულებები.

1. ხელშეკრულების სხვა ყველა პუნქტები დარჩეს უცვლელი.

2. წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს 2016 წლის 20 იანვრის №02 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან.

3. შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე, 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომლებიც ინახება მხარეებთან.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური	**შპს „მაგთიკომი"**
ს/კ 204577813 საბანკო რეკვიზიტები: ანგ. N200122900 სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222	ს/კ 204876606 ვითიბი ბანკი ჯორჯიას ცენტრალური ფილიალი ბანკის კოდი № UGEBGE22 ს/ს GE73VT6600000000423607
სამსახურის უფროსის მოადგილე: გიორგი ბაბაკიშვილი	გენერალური დირექტორის მოადგილე: გია კოშორიძე